ᲡᲡᲘᲙ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ
ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

# საქართველოში ადრეული ასაკის ბავშვების განათლებასა და ზრუნვაში (ECEC) არსებული სამართლიანობის ხარვეზები


მასახირო კატო

განათლების მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტრო / იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო

# შეკითხვები

1. არის ადრეული განათლების სერვისი საქართველოს ყველა ბავშვისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი?

2. რა ბარიერები არსებობს ადრეულ განათლებაზე წვდომასთან დაკავშირებით? ვინ არიან სერვისის მიღმა დარჩენილი ბავშვები?

3. ამ ბარიერების გადაჭრის რა გზები არსებობს?

# შეკითხვები

1. არის ადრეული განათლების სერვისი საქართველოს ყველა ბავშვისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი?
2. რა ბარიერები არსებობს ადრეულ განათლებაზე წვდომასთან დაკავშირებით? ვინ არიან სერვისის მიღმა დარჩენილი ბავშვები?
3. ამ ბარიერების გადაჭრის რა გზები არსებობს?

## დარგობრივი პრიორიტეტი II. სამართლიანობა, ინკლუზია და დივერსიფიკაცია




- *„სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ეთნიკურობის/ენის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მიუხედავად ყველა ადამიანს ექნება წვდომა მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო სერვისებზე მთელი ქვეყნის მასშტაბით.*
- *„განსხვავებულ მოწყვლად ჯგუფებისთვის მიზნობრივი მხარდაჭერა გაძლიერდება განათლების სხვადასხვა საფეხურზე, რადგან არასაკმარისი მიზნობრივი მხარდაჭერა ხელს უშლის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას“*

| დარგობრივი პრიორიტეტი III | განათლებისა და მეცნიერების სისტემის მართვისა და ანგარიშვალდებულების სისტემა | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | საწყისი | მიზანი | | დადასტურების წყარო |
| | | | | შუალედური | საბოლოო | |
| გავლენის ინდიკატორი 3.1.1 | ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ჩარიცხული ბავშვების წილი (2-დან 5-6 წლამდე). | წელი | 2021 | 2025 | 2030 | EMIS მონაცემები |
| | | ინდიკატორი | 71% | 80% | 96% | |

# 2019-2024 წლებში ადრეული განათლების დაწესებულებებში ჩარიცხვის ტენდენცია (საჯარო ბაღების მონაცემები)



# სკოლამდელ განათლებაში ჩარიცხვის მაჩვენებელი მუნიციპალიტეტების მიხედვით: სასწავლო წელი 2024-25



# შეკითხვები

1. არის ადრეული განათლების სერვისი საქართველოს ყველა ბავშვისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი?
2. რა ბარიერები არსებობს ადრეულ განათლებაზე წვდომასთან დაკავშირებით? ვინ არიან სერვისის მიღმა დარჩენილი ბავშვები?
3. ამ ბარიერების გადაჭრის რა გზები არსებობს?

# რა ბარიერები არსებობს ადრეულ განათლებაზე წვდომასთან დაკავშირებით? სწრაფი კვლევა

## ფოკუსირება ბავშვებზე

სტატისტიკური ანალიზი:

**MICS კვლევის მონაცემები (2018)** ადრეული განათლების პროგრამებში დასწრება

ადრეული განათლების პროგრამებში დასწრების გავლენა განვითარების შედეგებზე

- ურბანული და სოფლის ტერიტორიები
- ეთნიკური ჯგუფები
- ეკონომიკური ჯგუფები

ჯვარედინი შემოწმება

## ფოკუსირება მუნიციპალიტეტებზე

### სტატისტიკური ანალიზი:

ადრეული დაწყებითი განათლების სისტემაში ჩარიცხვის მაჩვენებელი (2024) და სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები 64 მუნიციპალიტეტში

- ურბანული და სოფლის ტერიტორიები
- ეთნიკური ჯგუფები
- ეკონომიკური ჯგუფები

შერჩეული შემთხვევები

ხარისხობრივი ანალიზი:

**ფოკუს ჯგუფები 3 მუნიციპალიტეტში** მაღალი სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების მქონე (ბევრი სოფელი, ეთნიკური უმცირესობების დიდი წილი და მეტი ეკონომიკური გამოწვევები)

- მუნიციპალიტეტის თანამშრომლები
- საბავშვო ბაღების დირექტორები/პედაგოგები
- მშობლები

# შედარება ქალაქებისა და სოფლების მონაცემების მიხედვით

მონაცემები MICS 2018-დან



## სკოლამდელ განათლებაში ჩართული ბავშვების %



# 2024 წელს ადრეული განათლების დაწესებულებებში ჩარიცხვისა და მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური პირობების შედარების ანალიზი. **გეოგრაფიული ბარიერი** (სოფლები, შორეული ტერიტორიები).

- ძლიერი უარყოფითი კორელაცია (-0.52): მუნიციპალიტეტებს, რომლებშიც სოფლის მოსახლეობის წილი შედარებით მაღალია, როგორც წესი, ადრეულ განათლებაში ჩარიცხვის უფრო დაბალი მაჩვენებელი აქვთ.
- რეგიონების სოფლებში საბავშვო ბაღების არარსებობა და მანძილი, ხელმისაწვდომობის მთავარ ბარიერს წარმოადგენს

ტრანსპორტირების უზრუნველყოფის სირთულეები

| | | სოფლის მოსახლეობის % |
|---|---|---|
| ჩარიცხვის მაჩვენებელი (2-6) | პირსონის კორელაცია | -.520** |
| | Sig. (2-tailed) | <.001 |
| | N | 64 |

*„ყველა სოფელს არ აქვს საბავშვო ბაღი და სადაც საბავშვო ბაღებია, ზოგიერთი მათგანი ძალიან შორს მდებარეობს. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტმა ბავშვებისთვის ტრანსპორტი გამოყო, ბევრს მაინც არ შეუძლია საბავშვო ბაღში სიარული". (მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირი)*

*„ჩემთვის სირთულე ის არის, რომ საბავშვო ბაღი შორს არის. მშობლები მიკროავტობუსებს ქირაობენ ბავშვების იქ წასაყვანად. ტრანსპორტირება თითო ბავშვზე 40 ლარი ღირს. ზოგიერთ მშობელს ამის საშუალება არ აქვს". (მშობელი)*

# შედარება ეთნიკური ჯგუფების მიხედვით

**მონაცემები MICS 2018-დან**



**სკოლამდელ განათლებაში ჩართული ბავშვების %**



# 2024 წელს ადრეული განათლების დაწესებულებებში ჩარიცხვისა და მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური პირობების შედარების ანალიზი. **ენობრივი ბარიერი (ეთნიკური უმცირესობების დასახლებები).**

- ზომიერი უარყოფითი კორელაცია (-0.329): მუნიციპალიტეტებს, სადაც ეთნიკური უმცირესობების მოსახლეობის უფრო მაღალი წილია, როგორც წესი, ადრეულ განათლებაში ჩარიცხვის უფრო დაბალი მაჩვენებელი აქვთ.
- ენობრივი ბარიერი ეთნიკური უმცირესობის ბავშვებში
- სკოლამდელ განათლებაში ბილინგვური განათლების მაღალი მოთხოვნილება

| | | % აზერბაიჯანული + სომხური ჯგუფები (2014 აღწერით) |
|---|---|---|
| ჩარიცხვის მაჩვენებელი (2-6) | პირსონის კორელაცია | -.329** |
| | Sig. (2-tailed) | .008 |
| | N | 64 |

*„ზოგჯერ, ენობრივი ბარიერის გამო, მშობლები შვილებს არ უშვებენ საბავშვო ბაღში. როდესაც ბავშვს საერთოდ არ ესმის ქართული, საბავშვო ბაღიც სთავაზობს მშობელს, რომ ერთი წელი დაელოდოს, სანამ ბავშვი ენას უკეთ შეისწავლის. ამის გამო, ბავშვი კარგავს ერთ წელს" (მშობელი)*

*„ენობრივი ბარიერის გამო, მშობელი ვერ არეგისტრირებს ბავშვს. ჩემს საბავშვო ბაღში ბავშვების 98% ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელია და ჩვენ მათ ვეხმარებით სარეგისტრაციო ფორმის შევსებაში. რეგისტრაციის ფორმა ქართულ ენაზეა". (ბაღის მასწავლებელი)*

# შედარება ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით

მონაცემები MICS 2018-დან






Photo: iStockphoto

# 2024 წელს ადრეული განათლების დაწესებულებებში ჩარიცხვისა და მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური პირობების შედარების ანალიზი. ეკონომიკური ბარიერი (საარსებო შემწეობის ბენეფიციარები)

- ზომიერი უარყოფითი კორელაცია (-0.32):
- მუნიციპალიტეტებს, სადაც საარსებო შემწეობის ბენეფიციარების მაღალი წილია, ადრეულ განათლებაში ჩარიცხვის უფრო დაბალი მაჩვენებელი აქვთ.
- საჯარო საბავშვო ბაღები უფასოა, თუმცა არაპირდაპირი ხარჯები (ტრანსპორტირება, ტანსაცმელის არ ქონა და ა.შ.) ქმნის ბარიერს.
- შესაძლოა, მშობლების მხრიდან ადრეული განათლებისა და ბავშვის განვითარების შესახებ გააზრების ნაკლებობაც კიდევ ერთი დაბრკოლება იყოს.

| | | % საარსებო შემწეობის მიმღებები |
|---|---|---|
| ჩარიცხვის მაჩვენებელი (2-6) | პირსონის კორელაცია | -.323** |
| | Sig. (2-tailed) | .009 |
| | N | 64 |

*„...მშობლები მიკროავტობუსს ქირაობენ შვილების წასაყვანად. ტრანსპორტირება თითო ბავშვზე 40 ლარი ღირს. ზოგიერთ მშობელს ამის საშუალება არ აქვს“.*

*„... განვითარების პრობლემების მქონე ბავშვების უმეტესობა სოციალურად დაუცველია, ძირითადად დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებიდან. მშობლებს ხშირად არ სურთ შვილების განვითარების პრობლემებზე საუბარი“ (მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირი)*

# უმცირესობების ეთნიკური წარმომავლობა, სოფლის ტერიტორიები და ეკონომიკური სიდუხჭირე: კომპლექსური მოწყვლადობა



# შეკითხვები

1. ადრეული განათლების შესაძლებლობა თანაბრადაა განაწილებული ყველა ბავშვისთვის საქართველოში?

2. რა ბარიერები არსებობს ადრეულ განათლებაზე წვდომასთან დაკავშირებით? ვინ არიან სერვისის მიღმა დარჩენილი ბავშვები?

3. ამ ბარიერების გადაჭრის რა გზები არსებობს?

# ბილინგვური სკოლამდელი განათლება - ენობრივი ბარიერის დაძლევა

- განათლების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტების მიერ 51 ბაღში დაინერგა ბილინგვური სკოლამდელი განათლება ეს პროგრამა გრძელდება და ფართოვდება.
- პროგრამა ხელს უწყობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვების ადრეული დაწყებითი განათლების მიღებას, სასკოლო მზაობას და სოციალურ ინტეგრაციას.
- მშობლების, მასწავლებლებისა და მუნიციპალიტეტების მხრიდან მზარდი მოთხოვნა.
- ადამიანური რესურსები - ბილინგვური მასწავლებლების დაქირავება და გადამზადება - მთავარი გამოწვევა.

*„როდესაც ჩვენს სკოლამდელ დაწესებულებებში ბილინგვური განათლება დავნერგეთ, მშობლები ძალიან დაინტერესდნენ ამით და დაინახეს, თუ რა პროგრესს აღწევდნენ მათი შვილები ენობრივ განვითარებაში.“*
*(მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირი)*



# სკოლამდელი განათლების მოდელების დივერსიფიკაცია - გეოგრაფიული და დემოგრაფიული ბარიერების მოგვარება







- საერთაშორისოდ დადასტურებული გამოცდილება: სახლში, სკოლაში, სამუშაო ადგილზე, მოდულარულ შენობებში და ა.შ. დაარსებული სკოლამდელი ბაღები.
- სწრაფი, ეკონომიური, მოქნილი და კონტექსტისთვის შესაბამისი ადრეული განათლების უზრუნველყოფის შესაძლებლობაა - განსაკუთრებით სოფლის, მცირედასახლებულ თემებსა და სწრაფად ცვალებად დემოგრაფიულ პირობებში.
- ხარისხის უზრუნველყოფისთვის საჭიროა საკანონმდებლო საფუძველი და მარეგულირებელი ჩარჩო.

# პოლიტიკის დონე – ეკონომიკური და ფისკალური ბარიერების მოგვარება

ცენტრალური მთავრობის მიერ დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) განაწილება: მუნიციპალიტეტების შემოსავლის ძირითადი წყაროა




**დღგ-ს განაწილების ფორმულა** (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი)

- 60% რეგისტრირებული მოსახლეობის მიხედვით
- 15% 6 წლამდე ასაკის ბავშვების რაოდენობით
- 10% 6-18 წლის ასაკის პირთა რაოდენობით
- 5% ტერიტორიული ფართობის მიხედვით (კმ²)
- 10% მთიან დასახლებებში მუდმივი მაცხოვრებლების რაოდენობით

არ არსებობს მექანიზმი, რომელიც მონიტორინგს გაუწევს მუნიციპალიტეტების მიერ 0-6 წლის ბავშვებზე დახარჯული თანხის რაოდენობას და მიზნობრიობას (?).

- მონიტორინგი და ლობირება მუნიციპალიტეტებთან, რეგიონულ ხელისუფლებასთან და ფინანსთა სამინისტროსთან, რათა გაიზარდოს ყურადღების გამახვილება ადრეული განათლების, როგორც პოლიტიკის პრიორიტეტის მიმართ.

https://mof.ge/files/download/BudgetCode.pdf/38b71316-b701-48e1-9f20-39ac3e598ebf

# დემოგრაფიული მონაცემთა ინფორმაციის სიზუსტე

CENSUS 2024

LET'S SEE HOW MANY WE ARE!




- 2024 წლის აღწერის საბოლოო შედეგები 2026 წლის ივნისში გამოქვეყნდება - ის უფრო ზუსტ დემოგრაფიულ მონაცემებს მოგვაწვდის მოსახლეობის შესახებ ეთნიკური ჯგუფების, ქალაქ-სოფლის მიხედვით და სხვა სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის მიხედვით.
- ეს მონაცემები შესაძლებელს გახდის მუნიციპალიტეტებში ადრეული განათლების სფეროში ინვესტიციების მტკიცებულებებზე დაფუძნებულ დაგეგმვას.

https://census2024.geostat.ge/en